საბანაკო სიტუაციების მართვის სამსახური
სსიპ. საბანაკო სიტუაციების მართვის სააგენტო

ქ. თბილისის საბანაკო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო

ES 7 18 00037871

პასუხი: წერილი N3735148 ბრძანებასთან დაკავშირებით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
იურიდიული საქალაქო სამსახურის
უფროსს **სერგო ბარკაძეს**

ბატონო სერგო,

თქვენი მიმდინარე წლის 13 ივნისის N10-0118164898 (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი 13.06.2018 N34469) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის N498 დადგენილებისა, ტექნიკურ რეგლამენტში „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" N41 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენი სპეციალისტის მიერ განხილული იქნა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (ს/კ 01.72.14.040.474) მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ სამშენებლო პროექტში გასათვალისწინებელია შემდეგი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულება:

SP 13130.2009 პუნქტი 4.4.5-ის თანახმად, კიბის უჯრედში განთავსებული ლიფტი არ უნდა ჩადიოდეს სარდაფ-სართულში, პირველი სართულის ქვემოთ;
SP 13130.2009 პუნქტი 4.4.7-ის თანახმად, შენობის Л 1 ტიპის კიბის უჯრედში, ყველა სართულზე, მოსაწყობია ღიობები;
SP 54.13330.2016 პუნქტი 7.2.15-ის თანახმად, პირველ სართულზე არსებული კომერციული დანიშნულების ფართობები, საერთო კიბის უჯრედისგან გამოსაყოფია იზოლირებული შესასვლელ-გამოსასვლელებით;

SP 8.13130.2009 პუნქტი 5.2 ცხრილი 2-ის მოთხოვნის შესაბამისად გასათვალისწინებელია შენობის გარე ხანძარქრობისთვის საჭირო რაოდენობის წყლის წყაროს სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა.

SP 5.13130.2009 ცხრილი A3 პუნქტი 36.2-ის თანახმად, კომერციული დანიშნულების ფართობებში დასამონტაჟებელია ხანძრის აღმომჩენი ავტომატური სიგნალიზაცია;

აქვე გაცნობებთ რომ, ვინაიდან არ გვაქვს ინფორმაცია სარდაფ-სართულის და დამხმარე სათავსოს ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ, შეუძლებელია რაიმე ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების განსაზღვრა;

პატივისცემით,

ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების
მართვის მთავარი სამმართველოს უფროსი

ანდრე ჭუჭაიძე

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური / სსიპ
საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო / ქ.
თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი
სამმართველო
მთავარი სამმართველოს უფროსი
ანდრე ჭუჭაიძე